

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს 25 საბაზისო პუნქტით ამცირებს

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2012 წლის 18 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის 25 საბაზისო პუნქტით, 6.5 პროცენტამდე შემცირების შესახებ.

დეკემბერში წლიური ინფლაციის მაჩვენებელი კვლავ დაბალ დონეზე შენარჩუნდა და 2.0 პროცენტი შეადგინა. დაბალია ასევე საბაზო ინფლაცია (სურსათისა და ენერგომატარებლების გამოკლებით) – 0.4 პროცენტი.

არსებული პროგნოზებით წლის პირველ ნახევარში ინფლაცია დაბალ დონეზე შენარჩუნდება. ზაფხულიდან შესაძლოა ეს ტენდენცია შეიცვალოს, თუმცა ეს მაჩვენებელი კვლავ მიზნობრივ დონეზე ნაკლები იქნება.

ბოლო პერიოდში აღინიშნება სავაჭრო ბალანსის დეფიციტის ზრდა, რაც უმთავრესად იმპორტის მატებით არის განპირობებული. ბოლო თვეებში შეჩერდა გასული წლის აგვისტოდან დაფიქსირებული რეალური გაცვლითი კურსის გამყარების ტენდენცია.

ევროკავშირის ქვეყნებში ეკონომიკური აქტივობის მოსალოდნელი შემცირება საქართველოს სავაჭრო ბალანსზეც მოახდენს გავლენას, რაც შესაძლოა ქვეყნის ერთობლივი მოთხოვნის დამატებით შესუსტებაში აისახოს.

არსებული პროგნოზები პოლიტიკის უცვლელობის პირობებში ინფლაციის მიზნობრივ დონეზე დაბლა შენარჩუნებაზე მიუთითებს. შედეგად მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო პოლიტიკის შერბილების გაგრძელების გადაწყვეტილება და რეფინანსირების განაკვეთი 25 საბაზისო პუნქტით შეამცირა. საქართველოს ეროვნული ბანკი მიიჩნევს, რომ ბოლო პერიოდში გატარებული პოლიტიკის შერბილება მოცემულ ეტაპზე საკმარისი იქნება საშუალოვადიან პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის მიზნობრივ დონეზე შესანარჩუნებლად.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2012 წლის 15 თებერვალს გაიმართება